ბულინგი 21-ე საუკუნის ერთ-ერთი დიდი და მწვავე პრობლემაა მსოფლიოში.ეს პრობლემა ყველა საუკუნეში თანმდევი იყო. ბულინგი არის ძალადობის,ჩაგვრის,დაცინვის,შურისძიების და ლიდერობის გამომხატველი სიტყვა.

მე ადამიანი ვარ და ზოგჯერ უნებლიედ ვხდები ბულინგის მსხვერპლი,ზოგჯერ კი „თავი და თავი“. ვეთანხმები ამ დებულებას რადგან ბულინგის მსხვერპლი ვყოფილვართ ყოველივე ჩვენგანი.ხშირად მინახავს,წამიკითხავს ან მეთვითონ დამიბულინგებია სხვა. არსებობს ზუსტად ქართული სერიალი რომელშიც ზუსტად არის ნაჩვენები ეს პრობლემა,როდესაც ბიჭს კეტავენ სარდაფში და ძალადობით აიძულებენ თქვას ბილწი სიტყვები საკუთარ თავზე. საქართველოში 2007-2008 წლებში ჩატარდა გამოკითხვა და გამოკითხვის თანახმად გამოჩნდა რომ ადამიანების 80% იყო ბულინგის მსხვერპლი.აქ შეიძლება განვიხილოთ უმეტესად ბავშვები რადგან ხშირად მინახავს როგორ კამათობენ ერთმანეთში მოზარდები და მათ მშობლებს პასუხად „ბავშვები არიან და რამოხდა თვითონ მოაგვარებენ „ აქვთ. ბულინგს ადამიანი ბავშვობიდან სწავლობს,თუნდაც ბაღში, სკოლაში,გარეთ ან სახლში. მართალია რომ ბოლო წლებში შემცირდა ბულინგის შემხვევები რადგან ხალხმა დაინახა შედეგები და გამოჩნდა ხალხი რომლებმაც ეს პრობლემა გაასაჯაროვეს,გამოაჩინეს და ხალხს დაანახეს შედეგები, რომელიც მოყვება ამ ყველაფერს.ყველა პატარა სიტყვა შეიძლება გახდეს დიდი პრობლემის სათავე.ბულინგის დროს ადამიანი შეიძლება დიდი ხნის განმავლობაში ვერ განიკურნოს ფსიქოლოგიურად.გრძნობდეს მუდმივ შიშს,ბულინგს ან შეიძლება ამ ყველაფერს მოჰყვეს აგრესია ზუსტად დაბულინგებული ადამიანის მხრიდან.

ჩემი არგუმენტებიდან გამომდინარე ვამბობ რომ ეს პრობლემა თვითონ ჩვენ უნდა აღვმოვფხვრა,უნდა დავფიქრდეთ შედეგებზე ან იმაზე ეს ყოველივე ჩვენ რას გარგებს და ყველამ ერთად უნდა ვუთხრათ ბულინგს არა.